# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 50. | კვირა, 21 ივლისი 1902 წ. | გაზეთის № 1873.

# უტუ ხუნცურავა

ესკიზი.

ვაგონი ღვინის რუმბსავით იყო მოგზაურებით სავსე. თუმცა ტევა არ იყო, მაგრამ მაინც შემოგვემატა სამტრედიის სადგურზე შუახნის ქერა კაცი. ცხვირ-აზზეკილი და ჴოსული ტანადი შემოსვლისთანავე, რაკი დასაჯდომი ადგილი არსად იყო, ერთს ყმაწვილ კაცს დააჯდა მუხლებზე. ბოდიშის მაგიერ მაგრად შეუკურთხა—მაშინაც, როცა მუხლებზე დააჯდა, და მაშინაც, როცა ის, ათვალცრემლებული, ძლივს გაუძვრა, როგორც იქნა, და, ფეხზე გაჩერებული, ვაგონის კარს აეტუზა. №-ს მალე ერთის ადგილი აღარ ეყო, მეორე მოგზაურიც აიძულა წამომდგარიყო. ეს მეორე უფრო წინდახედული გამოდგა და სულ გავიდა ვაგონიდან. პირველი კი, რომელსაც თურმე კაი ძალი და დიდი ფასის ბარგი ჰქონებოდა თან, კარებთან დარჩა გაშეშებულივით. მას ეცვა შავი მაუდის, კოჭებამდის გრძელი პალტო, თავზე ძვირფასი ბოხოხი ეხურა, უყელო ჩექ-მებზე ფართო შარვალი ჰქონდა გადმოფარებული. შუატანისაზე ცოტა უფრო მაღალი გეჩვენებოდათ, კარგა ჩასკვნილი მოყვანილობა ჰქონდა, არც თუ ხმელ-ხმელი ეთქმებოდა და არც მსუქანი. სახით ჯმუხი შეხედულობისა იყო, შავი წვერ ულვაშითა და თვალებით; ერთი შეხედვით სავაჟკაცო მოყვანილობა ჰქონდა, მაგრამ ახლა ისეთი შეშინებული თვალებით იხედებოდა, რომ კარგს პსიხიატრსაც გაუჭირდებოდა ეთქვა: გამოდგებოდა ის სავაჟკაცოში, თუ ფრთხალი უფრო იყო? თითქო გველის მოხიბლული წიწილიაო, ისე ვერ აშორებდა თვალს № ს, ამ თავის კბილის მატლს: ემჩნეოდა, რომ არ სურდა შეეხედნა მისთვის, მაგრამ ცალი თვალი მაინც რჩებოდა.



ტბის ღელებში გართული. — სურათი გრადის

— შენ... სადა... ური... ხარ?—ჰკითხა ტანის რხევითა და თავის ჩამოქინდვრით №-მა მას ჯერ ისევ კართან ატუზულს...

— მე, ბატონო, მეგრელი გახლავარ, უტუ ხუნცურავა... მიუგო მან.

— ჰმ.. მეგრელი!..—განიმეორა №-მა ისეთი ზიზღით და დაცინვით, რომ მაინცა და მაინც მეგრელობა არ იყო საჭირო, რომ კაცს გული მოსვლოდა, მაგრამ იმას კი, ვისდამიც ეს სიტყვები იყო მიმართული, წარბიც არ შეუნძრევია, ისე იდგა ბურთივით...

— გიცნობთ... მეგრელებს.. რა შვილებიცა ხართ!.. გიცნობთ!.. რა მოხელე ხარ? ქურდობ, თუ ქურდების ხელის დამცლელი ხარ? თუ ორივე ერთად? არა, ძმობილო, ბევრი კი ჰპარეთ იმერლებს ცხენები, მაგრამ ამ ბოლო დროს მათმა დეპუტატებმა გადაგიხადესთ სამაგიერო... ჰა... ჰა... ჰა... იცით, ბატონებო?! — მოგვმართა ვაგონში მყოფთ მოგზაურებს,—ქვეყნის დასაბამიდან რაც ჰაკი ცხენები უპარავთ მეგრელებს იმერლებისათვის, სულ ყველა კვიცებ-დამატებით ქუთაისში ჩააყვანინეს... ჰა... ჰა.., ჰა! შენც ჟინოსკუობას იშოვნიდი, იმედია .. ა??.. რამდენი დაგიჯდა... ერთი უნდა გვითხრა. უთ... თუ...ოთ. და წამოდგა, რომ წაჰპოტინებოდა ხუნცურავას, რომელმაც მხოლოდ ახლა იკადრა ზურგის მიბრუნება და ვაგონიდან გასვლა. №... გამოუდგა უკან და მალე პალტოში ხელ ჩავლებული შემოიყვანა ისევ ვაგონში და მოისვა გვერდით.

საცოდავი შესახედავი იყო, ხუნცურავასთ ის რომ შეგეხედათ: სახე მოშლილი, მთლად ოფლში იწურებოდა.

— ბატონო, გამიშვით, თუ ღმერთი გწამთ! როგორ გეკადრებათ ჩემთან ღლაბუცი! — ევედრებოდა ის.

— ჰმ... შეხეთ ერთი ამის დრუნჩს... როგორ იკატუნებს თავს, როგორ ჰბაძავს ლაზარე გლახის სახის მეტყველებას... აი, ასეთია თქვენი, აქაურების რჯული: თუ ღონიერს შეხვდით, ფეხს დაულოკავთ, თუ მოსარევად დაიბრიყვებთ ვისმეს და ნელს ცეცხლზე დასწვავთ ან შამფურზე ააგებთ, შეწსვავთ და შესჭამთ... ასე იცის ისეთმა ველურმა, მხეცმა, უსინიდისო, ქურდმა, უნამუსო, მხთალმა ხალხმა, როგორიც თქვენა ხართ!.. ძალიან მიყვარდა ჩემს ყმაწვილობაში თქვენში ქურდ-ავაზაკების დევნა: დღე იმათ ვქაჩავდი და ღამე კი სადაც შევიდოდი ღამის გასათევად... რომ... დაზეპირებულს „სკანი ჭირს“ ვეტყოდი... რა გინდა სულო და გულო, რომ არ აგისრულებდნენ... ცოდვა კია, ღმერთმანი, იმისთანა მყრალ მამაკაცების ქვეყანაში ისეთი ლ მაზლამაზი კალთა-მადლიანები რომ იყვნენ... ისინი... ჰო... კიდევ...მეს-მის... ჰმ... მეგრელი... ქალები... ვენაცვალე...

ამ სიტყვის თქმა და ვაგონის თითქმის დაცალიერება ერთი იყო. ყველანი, ორიოდე კაცს გარდა, მოშორდნენ იქაურობას: ეგონათ რაღაც უბეჭურება მოხდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ხუნცურავა ხმას[illegible]არ იღებდა... ოფლის ღვრისა და სახის დაღმანჭვის მეტი არაფერი ეტყობოდა... იჯდა უძრავად და დაჰყურებდა პალტოს კალთას, რომელიც ჯერ კიდევ №...ის ხელში იყო...

— არა, ჩემო ხუნცურავა... გულს არ მოიყვან იმედია... ყარესებიც გაგეგონება... რა მოხელე ხარ? აზნაურობ, ესე იგი ცხენებს იპარავ,—გლეხობ—ესე იგი თხებს იპარავ, თუ ვაჭრობ და ქვეყანას ატყუებ?

— ლამაზია?!

ხუნცურავა ხმას არ იღებდა... უძრავად იჯდა და შუბლშეკრული დაჰყურებდა პალტოს კალთებს... ეტყობოდა, რომ სისხლი უდუღდებოდა, სახე წამოუჭარხალდა, ოფლი დაასქდა...

— ლამაზია ა? შენ გკითხავ... ეი...—და ერთი მუჯლუგუნი ჰკრა...

— ჩემთვის ყველაფერია და...



იესო ქრისტე სამსჯავროს წინაშე.
ქანდაკება ანტოკოლსკისა.



სპინოზა გარდაცვალების წინ.
ქანდაკება ანტოკოლსკისა.

— მე, ბატონო,—მონური, ნელი ღიმილით მიუბრუნდა და ისე მიუგო მან,—ვაჭარი ვარ სუჯუნაში, მაგრამ არც ქვეყანას ვატყუებ და არც არავის...

— ჰმ... მეგრელი!!!. ერთი მითხარი, დიდი ხნისაა თქვენში ეს თქმულება: „ჯგირი ჩხოუ მეყვანირე (კაი საქონელი ლობის მტეხელია). ჯგირი კოჩი მახინჯირე (კაი კაცი ქურდია) ჯგირი ოსური კახმარე!“.. (კაი ქალი უნამუსოა) ა? მითხარი და!..

ხუნცურავა ხმას არ იღებდა. უძრავად იჯდა მწარედ შეწუხებული სახით და დაჰყურებდა პალტოს კალთებს.

— ერთი მითხარი, ჩემო ხუნცურავა... შენ დიდი ფილოსოფოსი ხარ, გეტყობა... ჰო, ჩემო პატიოსანო ვაჭარო, რომელიც არავის ატყუებ—ცოლიანი ხარ?

— კი, ბატონო!—ცრემლი გადმოუვარდა თვალიდან და ისე კი შეხედა ძალათ-მოსაუბრეს, რომ ცხადად მიხვდებოდა კაცი, რასაც ის სთხოვდა: თქვენს ღმერთს მიამადლეთ, ჩამომეხსენით, თუ ღმერთი გწამსთ, ჩემს ტყავში დამტოვეთო...

— და სხვის.... მაგალითად...

აღარ დაუთავებია ეს ფრაზა, ისე განაგრძო: მართლა როგორია, ა? თეთრ-წითურია... ა? მაღალ-მაღალი... ა? შვენიერი ტანადი... ა? წელში წვრილი... ბეჭებში განიერი და მაღალი მკერდი ორგან გასაგიჟებლათ აზორცვებული, ა?...

ხუნცურავა ხმას არ იღებდა. ის უძრავათ იჯდა და დაჰყურებდა პალტოს კალთებს... მხოლოდ მკერდი მისი უფრო მაღლა-მაღლა იწეოდა და სულთქმა უფრო მძიმე ჰქონდა...

— არაფერს მეტყვი? ა? აბა... ერთი რაღაც უნდა გთხოვო: რა მოგცე რომ... გამაცნო... საჩუქარი მე მკითხე... არ შეგარცხვენ...

ხუნცურავა ხმას არ იღებდა. კრინტ-დაუნძრევლად, ლონიერად წამოდგა, „ხელი პალტოს!“ ცივად და ხმა-მომაღლოდ მიჰმართა მან ახირებულად აკვიატებულს მოსაუბრეს, რომელმაც უცებ შეუშვა ხელი კალთებს.

ხუნცურავამ მოიხადა ბოხოხი, ხელმანდილით შეიმშრალა ოფლის ღვითქი, მივიდა ფანჯარასთან, გააღო და გადიხედა...

ამ დროს მატარებელმა დასტვინა და ცოტა ხნის შემდეგ გაჩერდა სადგურთან. იქ ჩამოსახტომი მარტო ხუნცურავა ყოფილიყო. ის შეუდგა ჩამოსახტომად მზადებას თამამად, №...ის მოურიდებლად, მივიდა თავის ადგილთან, ჩამოიღო ზევიდან ორი ჩემოდანი, ერთი ხურჯინი და დაიღუნა, რომ ქვეშიდან გამოეწია ორი სავსე კალათა.

— ჩემო მეგობარო, ამ სიმაღლე ქუდი რად შეგიკერავს? აქედამ ხომ ორი ქუდი გამოვა? და ამის თქმისათანავე №-მა ამოიღო ჯაყვა, გაშალა, უცებ მოხადა ბოხოხი და, სანამ პატრონი გონს მოვიდოდა და წელში გასწორდებოდა, შუაში გადუჭრა.

— ა... ეს ერთი შენ გეყოფა და ეს მეორე შენს ცოლ... უჰ... რა თვა...

მეტის თქმა არ დასცალდა.

უწყინარი, თავმდაბალი, მშვიდობიანი, ყოველგვარ შეურაცხყოფის ამტანი და მოშიში ხუნცურავა უეცრად დაემსგავსა სისხლის მსმელს, ჩხუბს მოწყურებულს, ნაჯინჭვლს დათვს: სახეზე ყაყაჩოს ფერი გადაეკრა, თვალები მუშტის სიდიდედ გამოექაჩა, პირზე დორბლი მოადგა. ხმას არ იღებდა არც ახლა, მაგრამ სამჯერ ზედიზედ, ელვაზე უსწრაფესად, ისეთი სილები გააწნა, რომ მათმა ქარმა ჩალის ქუდი გადამიგდო თავიდან და ცხვირიდან სისხლი წახეთქა და გონება სრულიად დაუბნია. ესეც არ აკმარა. დაავლო მარცხენა ხელი საყელოში, მარჯვენა მარცხენა მუხლის სალსარში, გადაადვა ფანჯარას, ასწია თავ და ყირა, ჰკრა ხელი და გადააგდო ვაგონიდან რკინის გზის პლატფორმაზე... მერე ჩამოაჯდა სკამის ნაწიბურს, შეიხსნა პალტო გულზე და ძალზე სუნთქვა დაიწყო: ჰაერი არ ჰყოფნიდა, მკერდი ახალუხში აღარ ეტეოდა, რაღაცას თქმა დააპირა და ძლივს მოახერხა წამოეთქვა:

— ჰმ... მეგრელი!!!

ყველაფერი ეს ერთი წამის საქმე იყო. ვაგონში მსხდომნი გაცვივდნენ გარეთ ისეთი ჯგლითით, რომ, უეჭველია, არა ერთის და ორის გვერდი დაიზილებოდა.

მოისმა საშინელი ღრიალი სადგურთან მდგომ ხალხისა. მისცვივდნენ იმ გადაგდებულს; დაუწყეს სინჯვა. სასიკვდილო არა უჭირდა რა: მარტო ოთხი წინა კბილები ჰქონდა ჩამტვრეული. ააყენეს, მაგრამ ისე დასუსტებული იყო, რომ ორი კაცის მხრებში შედგომა დასჭირდა.

რამდენიმე იქ მყოფთაგანმა მორთეს ძახილი: ჟანდარმ! ჟანდარმ!



ლორდი სოლსბერი.
ინგლისის პირველ მინისტრად ნამყოფი.



მ. ბალფური.
სოლსბერის მოადგილე.

— უტუმ... ვაგონის ფანჯრიდან თავი გამოჰყო. აჰარხლებული სახით და მრავალნაირი გრძნობის გამომხატველი კილოთი წაილაპარაკა:

— ჰმ... მეგრელი!!

ბოლოს მოვიდა ჟანდარმიც. №-მა მიახლოვება არ აცალა წესიერების დარაჯს, ისე გაიშვირა ხელი უტუსაკენ და უთხრა მას:

—შეიპყარით ეს ძაღლი!.. მაგ ოსმალეთის ემისარია!!!

ჭინათელი.

# ნარევი

უიღბლო მეფე. ერთს ინგლისურს ალმანახში, რომელსაც ინგლისელები დიდ პატივსა სცემენ, მოყვანილია წინასწარმეტყველებანი, რომ მეფის გვირგვინის კურთხევა უხიფათოდ არ გადარჩება.

სხვათა შორის ალმანახში ნათქვამია, რომ მეფეზე ხელს გამოიღებენ და სისხლით შეისვრება იგი. თუ ხელის გამოღებას ისე ვიგულისხმებთ, რომ ეხლახან მეფეს ოპერაცია გაუკეთეს, როდესაც, რასაკვირველია, სისხლიც დაიღვარა, მაშ წინასწარმეტყველება გამართლდა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ, რაც ტახტზე ავიდა, უიღბლობა სულ უკან სდევდა მეფეს. ეს იმას ძალიან კარგა ესმოდა და არა ერთხელ გაუზიარებია ქესა თავის მახლობლებისთვის.

წარსულს თებერვალში ექიმები ურჩევდნენ მეფეს სადმე წასულიყო, რომ დაესვენა საქმეებისაგან. ზოგნი ამბობენ, რომ საჭირო საქმეებმა არ მისცეს ნება წასულიყო სადმე; სხვები კიდევ ირწმუნებიან, რომ მეფის მოგზაურობის წინააღმდეგნი მინისტრები იყვნენ, რომელთაც ეშინოდათ ბურებმა არაფერი არ აუტეხონო.

თუმცა მეფე ედუარდი ფიქრობდა ტახტზე ასვლის შემდეგ, ირლანდიაში წასულიყო, მაგრამ ვერ მოუხდა, რადგანაც ირლანდიაში პოლიტიკური მოძრაობა შეიქმნა.

მეფის საყვარელი ცხენი სწორედ იმ დროს გახდა ავად, როდესაც ის დოღში უნდა გაეყვანათ, სადაც ჩაწერილი იყო.

სამჯერ დანიშნული „გამოსვლა“ სასახლეში გადაიდო საშინელი წვიმების გამო.

თითონ მეფეც ვერ დაესწრო დოღს, რომელზედაც მობძანდა მარტო დედოფალი ალექსანდრა. მეფის მიუსვლელობამ სამწუხარო შთაბეჭდილება იქონია ხალხზე.

ჯარების დათვალიერება საზაფხულო ბანაკში სრულიად არ მოხდა წვიმიანი ამინდების გამო.

ლონდონის უმაღლეს საზოგადოებაში სულ იმას ლაპარაკობდნენ, რომ მეფე უიღბლოა. ომი გაგრძელდა ივნისამდის, შერიგება გამო-

აქვეყნეს, მეფე ავად გახდა. მეფე უკეთესად შეიქმნა, გვირგვინის კურთხევა დანიშნეს; უცბად ცუდად გახდა, ოპერაცია გაუკეთეს.

ზოგიერთნი ლაპარაკობენ: მეფეს არა სჯერა, რომ მორჩება, ის ამბობს, რომ ყველაფერში უიღბლოა, ბედი არ უწყობს.

ამასთანავე იგონებენ ერთი მკითხავის სიტყვებს, რომელმაც როდესღაც უწინასწარმეტყველა ველიის პრინცს, რომ მეფე ედუარდი თავის დღეში ვერ ეღირსება გვირგვინის კურთხევასაო.

***

ქარავანის ამოწყვეტა. კონსტანტინეპოლის გაზეთებში სწერენ, მთავრობას ოფიციალური ცნობები მოუვიდა რომ ერთი დიდი ქარავანი გაჟლიტესო.

ეს ქარავანი ეხლახან გამოვიდა ბასორიდან ძვირფასის საქონლით და შუბისკენ გაემგზავრა. გზაში ამ ქარავანს დაეცნენ არაბები-მეამბოხენი, გაძარცვეს და უმეტესი ნაწილი ხალხისა გაწყვიტეს.

ქარავანში ასი სოვდაგარი იყო დიდ ძალის მოსამსახურეებით და მონებით რვაასი აქლემის მოსავლელად, რომლებითაც საქონელი მიჰქონდათ. ქარავანს მისდევდა დასაცველად 50 ოსმალეთის ცხენოსანი ჟანდარმი.

ბასორას ახლო ამ მგზავრებს თავს დაეცა არაბების დიდი ბრბო. ჯერ სროლა აუტეხეს ცხენოსან ჟანდარმებს და სულ ამოხოცეს, შემდეგ არაბები დაეცნენ სოვდაგრებს და იმათ ბიჭებს, ბევრი დახოცეს, და მხოლოდ რამდენიმემ თავს უშველა და გაიქცა ქალაქ ნეჯდში.

გადარჩენილი სოვდაგრების სიტყვით, არაბებმა მოჰკლეს ხუთასზე მეტი კაცი, დახოცეს აქლემებიც და რაც განძი იყო, სულ წაიღეს, არა დაუტოვებიათ-რა.

დახოცილების უმეტესი ნაწილი ოსმალეთის ქვეშევრდომნი არიან. ამ ჟამად ოსმალეთის მთავრობა ექსპედიციას ჰგზავნის, რომ დასაჯონ მძარცველები.

ეს საქმე კიდევ იმითი ზვიადდება, რომ ის ადგილი, სადაც არაბებმა ქარავანი ამოხოცეს, კოვეიტის და ნეჯიდის სამთავროებთან ახლო ძევს, და ეს ორივე მთავარი ერთმანეთს აბრალებენ ქარავანის ამოწყვეტას.

***

ქ-ნი ემბერის სამკაული. საჯაროდ გასასყიდ ნივთების სიაში ქ-ნი ემბერის ძვირფასს სამკაულს ას ოცდა ოთხი ადგილი უჭირავს.

ერთს კოლოფში ძევს ძაღლის საყელო, რომელიც თხუთმეტი წყობა მარგალიტით არის მოჭედილი. მეორე კოლოფშია მეორე საყელო ექვსი რიგი მარგალიტებით. სხვა ძვირფასს სამკაულთა შორის შესანიშნავია წყვილი საყურე შავის მარგალიტის.

შემდეგ მოჰყვება ურიცხვი ძვირფასი სამკაულები სხვა და სხვა სურათებით, ეტყობა, რომ ქ-ნ ემბერს ძალიანა ჰყვარებია სურათები. ათასნაირი „ბროშები“ წარმოადგენენ ფრინველებს, პირუტყვებს, ნადირებს. ერთზეა გამოყვანილი ცხენის ნალი, მეორეზე—მთელი ცხენი, მესამეზე—ძაღლი, მეოთხეზე—თაგვი ბრილიანტებისა.

უფრო ბევრი სამკაულია, რომლებიც წარმოადგენენ ფრინველებს, მწერებს და სხვა. ჭრიჭინა გაკეთებულია გამსჭვივი მინანქრისაგან, ბუზები და თუთიყუშები—ბრილიანტისა, მამლები—ვარდებისა.

ძნელი ასაწერია, რამდენ ნაირი და რამდენი ჯურის ძვირფასი სამკაული ჰქონია ქ-ნ ემბერს. სხვათა შორის სიაში აღნიშნულია დაცინვით: „მაიმუნი და თილისმის ფანარი“. ეს შესანიშნავი, ბრილიანტებით მოჭედილი „ბროშაა“, რომელსაც ქ-ნი ემბერი იკეთებდა, როდესაც დიდ გავლენიან და საქმის ხალხთან დადიოდა.

და სუყველა ეს... სხვისი ფულით!



ფოტოგრაფთან.—ნუ თუ საჭიროა თქვენი სურათის გადაღება ტრამვაის საზოგადოებისათვის...



„მშვენიერი არსებანი“.

გამომცემელი და დრ. რედ. ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 19 Іюля 1902 г. Электропеч· груз. изд. т—ва. (ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ის).